

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-
გიის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-
ში № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-
გიის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახ-
ლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორ-
აში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типо-
графіи. Въ редакцію газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: თ. კოხს წლი-
სა—8 მან., ნ. ხევა წლისა—4 მან. და
50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაბრათ

განცხადება: მიიღება ქართულს,
რუსულს, სომხურს და რუმულს.

ფასი განცხადებისა: ცალკე
ფურცელი—1 კაპ., ასო-მთავრულით
სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ცი-
ფრითი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-
სწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდ-
ელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-
დება.

ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა
(პირველ ივლისიდან პირველ იანვრამდე
1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპიკი.
პირველი აგვისტოდან წლის დასრულებამ-
დე—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილის-
ში, (სერგიის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის
სახლებში, № 8). ძალაქს გარეშე მცხო-
ვრებთათვის აღიწერს: ВЪ Типографіи. Въ
редакцію газетъ „Дрoбa“.

საქართველო

დღიური

* * ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭ-
დათ შემდეგი:

„ჩვენ თბილისში ამ დღეებში შარა-

ბალიდან გვეწვიენ მოკალმაყ თათრე-
ბი, რომლებთა მარჯვენა და ზოგს
მარცხენა ხელები განკეპნილია მო-
კეცილი აქვს და მთელი ხელი ორთ
მოკეცილი გულზე მიკრული. ტანისა-
მოსის სახელო გრძლიათ ხელის
მტევანზედ გადმოგდებული, ასე რომ
თითები სრულიად არა სჩანს, და ამ
სახით ძალით ისაწყლებენ თავს, რათა
თითო-ორ-ორი გროში იშოვნონ ამ
ახალგაზდა ვაჟკაცამ ბიჭებმა.

„ზუზინ წინ ერთი შემოვიდა ჩემთან.
მე ბიჭებს დაეუძახე და უთხარ ახალუხი
გაეხადნათ. ის ძალიან უარზედ და ძალა-
ზედ იდგა, მაგრამ ძალით გაეხადით და
მკერდზედ მიკრულ ხელს თოკი შეეხსე-
ნით. თოკის გახსნის დროს მე ვაიმე-
დებდი—ერთი ლოცვა ვიცი და რო-
გორც შეგილოცავ, ხელი იმწამსვე მორ-
ჩება მეთქი. ავიღე ძალით მტკივანი ხე-
ლი და ჩუმათ დავიწყე ბუტბუტი. ხელი
თან - და - თან სწორდებოდა. მეც გავ-
თავე ბუტბუტი და ხელიც გასწორდა.

„აბა ლოცვები აგეთი უნდა, აი!“.

* * ამ ჟამად თბილისში ხე - ტყე ისე

გადვირდა, რომ ერთ ვერშოკიან სისქე
ფიცარს, რომელსაც აღრე ოთხ აბაზად
ვერდულობდით, ორ მანეთ ნაკლებ ვერ
ვმოვულობთ.

* * ჩვენ გვატყობინებენ, რომ სომხ-
ბის აქაურს ოთხ კლასიანის საქალებო
საწალებლის საქმე ძალიან კარგათ
მიდიან და დიდ ძალი ქალები არიან
ამ ჟამად მომზადებულნი იქ შესასვლე-
ლათა. მაგალითად სომხების შკოლებ-
ში პირველ შკოლად ითვლება, დაარსებუ-
ლია გაზეთი „მელუს“ თანამშრომლებ-
ისაგან.

* * გაზეთ „მაცკაში“ იწერებიან,
რომ 27 აგვისტოს ცირკში, წარმოდგე-
ნების დროს, მოისმა თოფის ხმა. პო-
ლიციის აფიცრმა წაიყვანა დოქტორი,
რომელიც იქვე, ცირკში ჰყოფილიყო,
იმ ადგილას, საიდანაც თოფის ხმა იყო.
აღმოჩნდა, რომ ვიღაც იუნკერს გაუ-
სროლია ქაღალდით გატენილი სალდა-
თის თოფი და მოურტყამს ერთის დედა-
კაცისთვის, რომელსაც დამახინჩრებია პი-
რის სახე და, როგორც ამბობენ, ცალი
თვალიც გაფუჭებია. ამბობენ, რომ გან-

ფელტონი

ბათუმი

(წერილი მეოთხე)

ბათუმი, 27 აგვისტოს

მა მესამე დღეა რაც აქა ვარ და ერ-
თი საათი კი მოსვენება არა მაქვს.

— რა საქმე გაქვს? მკითხავეთ. სრუ-
ლიად არაფერი; მაგრამ ამ ჟამად აქ
ისეთი გაცხარებული ფაცა-ფუცია, ისე-
თი დაუწყნარებელი მოძრაობა, ყვირი-
ლი, ყაყანი და დავი-დარაბა, რომ მოს-
ვენება თავისუფლად ერთის წამის გატა-
რება არ შეგიძლიანთ.

ხალხის მოძრაობა, მოგვხსენებთ, გა-
დამდებია: მეც ვმოძრაობ, დავრბივარ,
ხან იქ მივევარდები, ხან აქ ვეცემი, ხან
რეიდზე მივეჩქარები, ხან ყავახანაში მი-
ვიჩქარი—თითქო ყველგან ისეთი საჩქა-
რო და საჭირო საქმე მაქვს, რომ ერ-
თი მინუტი მოცდა და დაუფრენება არ
შეიძლება!

ჩემ-და-აუხსენელათაც მიხედვით—თუ
რა უნდა იყვის მიზეზი ამ ხალხის უჩვე-

ულებრივო მოძრაობისა: რუსები შემო-
ვიდნენ, მსმალები მიდიან, ერთს მო-
აქვს თავის ბარგი, მეორე ბარგს ალა-
გებს, ერთი ხმელეთით შემოდის მეორე
ხომალდებში ჯდება და ტრაპიზონისა
და სტამბოლისაკენ ზღვით მიდის, ერ-
თი სალამს აძლევს ამ ქვეყანას, მეორე
სამუდამით ეთხოვება, —აი ეს არის უმ-
თავრესი მიზეზი არეულობისა, მოძრა-
ობისა.

მაგრამ ამას გარდა მეორე მიზეზიც
არის: დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ ზუ-
რიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან და
ტრაპიზონიდან. სულ ეპატორები არიან.
ჰველა აქ მოელის გაკეთებას. ღარბიან,
დამცატურობენ, ჰყვირიან ჩურჩულობენ,
დიდიდამ საღამომდინ აქა-იქ დაძვრები-
ან, სამალაზიო, სასტუმრო, საღუქრო
სახლებს ქირაობენ, ადგილებს ჰყიდუ-
ლობენ, „საქმეს“ ეძებენ.

როგორც ეტყობა, რუსებისაგან ბა-
თუმის დაჭერას არაიენ მოელოდა, თვით
ჭკიან ღერვი-ფაშასაც კიდევ რაღაც
იმედო ჰქონია.

ამას იმიტომ ვამბობ, ამ უკანასკნელ
დრომდინ ყველა მსმალს ჯარები
სულ აქ იყვნენ თავმოყრილნი და აქე-

დამ ამათი წაყვანა მხოლოდ ამ ერთი
კვირის წინათ დიუწყითათ; კიდევ იმ-
ტომ ვამბობ ამას, რომ ვაჭარი, „საქ-
მის“ მძებარი ხალხი მხოლოდ ახლა,
რუსების შემოღლისა-თანავე, მორაბა
აქ და ეჩქარება რომელსამე საქმეს სტა-
ცოს კუდში ხელი.

აღრევე რომ სკოდნოდით, დღეს
ხომ ასე აჩქარე და ფაცა-ფუცია არ
დასჭირდებოდათ, მომზადებული იქნე-
ბოდნენ რუსების შემოსვლის დროს.

მერ წარმოიდგენთ—როგორ ზუდამ
დღე საშინლად იწვეს ახლა აქ ყველა-
ფრის ფასი. მე დამარწმუნეს, რომ ის
მალაზია, რომელიც რუსების შეიოსე-
ლამდინ წელიწადში 500 ყურუშით
იყო გაქირავებული ახლა 500 მანეთად
გაქირავდომ *). ადგილს, რომელიც ად-
რე 600-700 ყურუშით ისყიდებოდა, ახ-
ლა 800-1,000 მანეთად იტაცებენ!

თითქმის ამ ნაირად გაძვირდა ყველა-
ფერი. ასე რომ საქართველოდამ შემო-
სული კაცი ბათუმის განთქმულს სიია-
ფეს სრულიად ვერ ჰხედავს. ღვთის წი-
ნაზე ევროპიული სასმელები კი იაფად

*) მართი მანეთი 40 ყურუშამდინ არის.

ზრახულობით არ გაუყვრია თოფი იუნკერსაო.

* ბუშინ, პირველს სექტემბერს გაიხსნა სამეურნეო საზოგადოების შენობაში, რომელიც იმყოფება ალექსანდროვის ბაღში, თუილიის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების მასწავლებლებთან პედაგოგიური კურსი, სადა დაესწრნენ გარდა მასწავლებლებისა, რომელთა რიცხვი ოცამდის აღიოდა, თუილისის სახალხო სკოლების დირექტორი უფ. სტრელეცკი თავისი თანაშემწითურთ, ყოვლად სამღვდლო პლექსანდრე ეპისკოპოზი, ვიცე გუბერნატორი და დეს. სტ. სოფ. მ. დ. ჯარჯაძე, ოლქის ინსპექტორი, ერთი მღვდელი და რამოდენიმე სხვა პირნი. პირველად მ. იოანეძე სიტყვა უთხრა მასწავლებლებს მათე თუ რა ძნელი, მაგრამ რა სასარგებლო საქმე უკიარნიათ ამით და თან გამოაცხადა თავის გულითადი სურვილი, არ მოარიდონ შრომას და მით მიიღწიონ იმ კეთილ მიზანდღის, რომელიც თვით უკისრნიათ; ამის შემდეგ მოკლე მოღებნა გარდაიხადეს. ბოლოს უფ. სტრელეცკიმ წარმოსთქვა სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მიზნისთვის იხსნება ეს კრება და რა საგრძნობი უნდა იქმნეს მსჯელობა.

მერმე ადგა უფ. ოლქის ინსპექტორი და იმანაც ორიოდ სიტყვა წარმოსთქვა ამ კრებაზე. მათადა ლაპარაკი, ზოგი აქ მყოფნი პირნი წაიკითხნენ თავიანთ სახლებში ზოგი კი დირექტორი, მასწავლებლები დარჩნენ აქ.

გვეჩვენება ახლაც, თუმცა, ამბობენ, ესეც ერთი ორად გააძვირესო. ეს სასმელების სიიაფე ახლაც დაეცა აქ შემოსულის ჯარს: სიარულის ნაცვლად ბარბაცი მეფობს და ფეხზე დგომის მაგიერად მტვერში და ტალხში წამოწოლა. სალდათები ისე მიირთმევენ ვერმუტს, კასისს, კონიაკს და სხვა ამ გვარ ძვირფასს სასმელებს, ვითარცა წყალს.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ყურადღების ღირსია, რომ არავითარი უწყობა არ მომხდარა ჯერაქ. მსმალები თავის საქმეს აღგანან: დილიდამ საღამომდინ ეზიდებიან ხომალდებში სახელმწიფო ქონებას: ზარბაზნებს, ტყვია-წამალს, ფქვილს და სხვას; მიჰყავთ ავით მყოფები და ჯარები. ამას გარდა, როგორც მოგეხსენებათ, იმათ ამ ჟამად რამაზანი აქვთ და დღისით წყლის დაღვევაც არ შეუძლიანთ. ამიტომაც საქეფოთ და სადავიდარაბოთ იმათ დრო არა აქვთ.

მსმალს ჯარი ამ ჟამად აქ კიდევ 4,000 კაცამდინ იქნება დარჩენილი; ოიხის-ძარზე, ჩურუქსუში (ძობულეთში) იმათი ერთი კაციც აღარ არის.

ჩვენს აქ ყოფნაში ოთხი დიდი ხომალდი წაიდა აქედამ ტრაპიზონში და

„დროშის“ კორესპონდენცია

თელავი, 29 აგვისტოს. მინ არ იცის ახლანდელს დროში და ვინ არ არის ამაზედ დარწმუნებული, რომ ცხოვრება და მოქმედება კაცობრიობის ყოველს დღეს წყნარის ნაბიჯით იწვევენ წინ, უმჯობესდებიან და კეთილშობილდებიან დროთა განმავლობაში; მაგრამ, ზოგიერთა მღვდლების მოქმედებაში ვხედავთ სრულებით წინააღმდეგს: კაცს ევანგელა მათთანა მღვდლები თვითონ ძალათ უკუ-სდგებიან ყოველ გვარის კეთილგანზრახვისაგანაო, ყოველ-გვარის კეთილის მიმართულებისაგანაო.

პიტყვი მიზეზს, მკითხველო, რომელმანც მომცა მე ვიქონიო ესრეთი შეხედულობა ზოგიერთა მღვდლების მოქმედებაზედა.

მართს კვირას დღეს თელავის სობოროში, წირვის შემდეგ, როდესაც მლოცავნი მივიდნენ ჯვარზედ სამთხვევლათ და სეფისკურის ასაღებად, ერთმა სულიერმა მამამ ხ. სცა ლაზათიანი სილა ერთს თვის სამრევლოთაგანს. ამ გლეხმა იჩივლა ადგილობრივ ბლალოჩინთან, რომელიც იყო იმ დღეს თანამწირველი ზემოთ ხსენებულ ფრიად მამაც მღვდელთაგანი. მამა ბლალოჩინმა, იმ ჰაზრით რომ ამ მღვდლის უწყსობამ არ მიიღწიოს მთავრობამდინა, უჩიოა გლეხს შინაურულად მორიგებოდა თვის სულიერს მამასა; მაგრამ, რადგან გამარჯვებულმა მღვდელმა ხ. მიიღო თავის დამარცხებად ბლალოჩინის ესრეთი განკარგულება, უარ ჰყო შერიგებოდა გლეხსა. ამ მაშინ მხოლოდ ილაგ-გაწყვეტილმა გლეხმა იჩივლა მქსარხოსთან ხ. მოქმედებაზედ. მქსარხოსმა დანიშნა გამოძიება,

რომ შეეცყო მას, თუ რამდენად მართალია საჩივარი ამ გლეხისა; და ესე გამოძიება მიანდო ს. პურდელაურის მღ. მ. ხ., რომელიც არის განუშორებელი მეგობარი მღვდლის ხ—სა. შემდეგ რამდენიმე ხნისა მ. გამოამძიებელმა დაინახა რა, რომ თვის მეგობრის მღვდლის საქმეს ცუდი მიმართულება ეძლევა, იხმარა ერთი ოსტატური სახსარი: მიიწვია გალახული გლეხი, უმასპინძლა ღაზათიანათ, გადააკრეფინა პახური და მიიღწევიანა იქამდინ, ვიდრემდისინ სრულებით არ დაავიწყდებოდა მას თვისი დარღვები. პი ამ დროს გამოამძიებელი ამოიღებს რაღაც დაწერილს ქაღალდს და ეუბნება გლეხს: „აბა რა გამოვა, შეილო, ჩივილით, დღეს შენი სულიერი მამა არის, ცოცხალიც მაგის ხელში ხარ და მკედარიც, მოდი შეუბრძვი და ამ ქაღალდზედაც ხელი მოაწერე, რომელზედაც დაგრჩება მადლობელი ჯერ ღმერთი შემერე ხალხი“.

ღვინით გამობრუებულმა გლეხმა დაივიწყა სრულებით თვისი დარღვები და მოაწერინა თავის მაგიერათ სხვას, რადგან თითონ წერა არ იცოდა. ეს ქაღალდი წარგზავნა გამოამძიებელმა მქსარხოსთან, დარწმუნებული იმაზედ, რომ მთავრობა მოუწონებს მას ამისთანა მოქმედებასა და ჰკვის გამჭირაობასა.

ეს ხსენებული გამოძიება, რომელიც დაავიგრეფინა გამოამძიებელმა მით, რომ შეარიგა ხსენებული მღვდელი გლეხს, განიხილა რა ახლანდელმა მქსარხოსმა იოანეძემ, დასდო შემდეგი ჰკვიანური რეზოლიუცია: „საქარო არ არის შერიგება მღვდლისა ნაცემ გლეხთანა; მე მსურს შევიტყო ჰკვიანობა! მე მსურს გავიგო, თუ რაედენ მართალია ნაჩივა-

სტამბოლში, თუ ჯარითა და თუ სხვადასხვა სახაზინო ნივთებით დატვირთული. ამბობენ, ხელიდან ჩვენი გემებიც მოეხმარებიან იმათ ხალხის გადასაყვანათაო.

ღერვიზ ფაშა ჯერ კიდევ აქ არის ამბობენ, იმან თქვაო, რომ სახამ უკა. ნასკნელს სალდათს და სახაზინო ნივთს არ გავისტუმრებ, მანამ აქედამ არ წავალო. თუ ეს ასეა, ამ სამოთხედღეში, უეჭველია, არც ერთი მსმალს სალდათი აღარ დარჩება აქ და იმ დროისთვის ღერვიზ-ფაშის გამოთხოვებასაც უნდა მოველოდეთ.


ბუშინ-წინ თ. სეიატაპოლკ-მირსკი და სხვა რუსის ღენერლები ღერვიზ-ფაშასთან იყვნენ სადილად მიპატიჟებულნი. ბუშინ თ. მირსკიმ გაუმართა ღერვიზს და სხვა ყველა აქ მყოფ ფაშებს სადილი რუსის გემზე „Память Меркурия“-ზე.

მე არ დავსწრებივარ ამ დიდებულთ პირთ ნადიმზე; მაგრამ ერთმა იქ მყოფმა მითხრა, რომ ღერვიზ-ფაშა როგორღაც თითქო მხიარული იყო და ამის გამო სადილზე ბევრი ტოსტები წარმოსთქვეს და კარგათაც იმხიარულესო.

ღერვიზ-ფაშას ორჯერ წარმოუთქვამს სიტყვა. პირველს სიტყვაში ის ჰაზრი გამოუთქვამს, რომ ჩვენ დღემდინ მტრები ვიყავითო და ამ მტრობაში მტკიცედ, მარჯვედ, მხნედ ვიდექით ერთმანერთის წინააღმდეგო. ახლა მშვიდობიანობა დამყარდა და ვინატროთო, რომ ამ მშვიდობიანობის დროსაც ისე მტკიცედ, მხნედ და ენერგიულად დავდგომოდეთ ყველა სამშვიდობო საქმეებს, როგორც მაშინ სამხედრო საქმეებს ვაღეკითო.

მეორედ უთქვამს, რომ ყოველს კაცს თავის გულში, უეჭველია, ერთი რამ კეთილშობილური გრძნობა, სიყვარული და წადილი აქვს ღრმად დანერგილი, რომელსაც ხშირად საქვეყნოდ არ გამოაჟვარებს ხოლმეო. ამ იდუმალნი სიყვარულისა და გრძნობის სადღეგრძელო დავლიოთო!

ისე მშვენიერად და ტკბილად ლაპარაკობს თურმე ღერვიზ-ფაშა, რომ ვიცაც არ ვხმის თათრული, იმასაც კი თავის დღეში არ მოსწყინდება იმის ყურისგდებაო.



საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

ჩი გლეხი. და დაუბრუნა ეს გამოძიება გამოძიებელს და ამასთანავე შეუბავალს მღ. ხ—ლს.

ხსენებულმა გამოძიებელმა, შემდეგ დიდის ფიქრისა, მოაგონა არა ნაკლები ოსტატობა, პირველ გამოძიების დროს ნახმარ ოსტატობისა. აი როგორ: გამოძიებელმა ურჩია მამაც მღვდელს ხ., რომ მან თავის პასუხში აჩვენოს მოწმად იმისთანა პირნი, რომელნიც უჩვენებდნენ სასარგებლოდ მისსა, და მით დაარღვიონ, რასაკვირველია, საჩივარი გლეხისა. აბა, რა საკვირველია, ძლევა-შემოსილმა მღ. ხ., რომელიც არამც თუ ნაკლებ, არამედ უმეტესთა ხსენებულს გამოძიებელზედ ოსტატობაში ამოიჩინა მოწმად ისეთი პირნი, რომელთაც არ დაუნახავთ მოქმედება ამ მღვდლის დანაშაულობისა. მართლათა, ამ მოწმებს, მიუერთმევიათ შემდეგი პასუხი გამოძიებლისთვის: „ჩვენ იმ დროს ეკკლესიაში ვიყავით, ხოლო სილის გარტყმა მღვდლისაგან გლეხისათვის არ დაგვინახავს“.

გამომძიებელმა რაკი ჩაიგდო ხელში ნახმარი და მისგან ნაჩვენები ოსტატური დოკუმენტები და ცნობები, გამოიყვანა შემდეგი დასკვნა: „საჩივარი გლეხისა არის უსაფუძვლო, ხოლო მღ. ი. ხ. არის სრულებით მართალი ამ საქმეში, და მიზეზი ამ ცრუ საჩივრისა არის არა ეს გლეხი, არამედ სხვა, რომელიც ღირსია სასჯელისა“.

დიდება და პატივი შენს ჭკუის გამოჩინობას და მოსაზრებას, მღ. გამოძიებელს ხ—ლს! მაღიღებ შენს წესიერს სვინილისით საესეს მოქმედებასა, რომ თავი დაგიდგია ჭეშმარიტების აღმოსაჩენელ საქმეზე სკდილობ და ხმარობ ყოველს შენს ღონისძიებასა, რომ გაამართლო დამნაშავე—მელაგის სამღვდელთ მშვიდობიანობის დამარღვეველი და გაამტყუნო ალაღ-მართალი საწყალი გლეხი!

რით აელსნათ, მართლმსაჯულო გამოძიებელს ხ—ლს ის შემთხვევა, რომ წირვის შემდეგ, როდესაც ხალხი გამოვიდა ეკკლესიიდან, მელაგის ბულვარზედ და მთლად ქალაქში ხალხი მხოლოდ მღვდლისგან გლეხისათვის სილის გარტყმაზედ ლაპარაკობდნენ? მაშ რა იყო მიზეზი, რომ საწყალმა გლეხმა წირვის გამოსვლის უმაღლეს, ტირილით იჩივლა ადგილობრივ ბლაღოჩინთან, მასზედ რომ მღვდელმა სეფისკერის მაგივრად მას სილა უთავაზა? მაშ რა იყო მიზეზი, მკითხველო, რომ, რადგანაც ბლაღოჩინმა არ მისცა იმ ქამად ჯეროვანი გზა გლეხის საჩივარსა, გლეხმა არაზოთ იჩივლა მესარხოსთან? მაშ რა იყო მიზეზი იმისა, რომ როდესაც გამოძიებელმა ხ—მა სწორე საჩივარი გლეხისა გაამართლა, მაშინვე გლეხმა, ილაჯ-გაწყვეტილმა, გამოაცხადა მაზრის შუროსთანა, რომელმანც შეადგინა აქტი ამ საჩივარზედ და გაგზავნა მესარხოსთანა.

აი ყოველივე ესენი ცხადად გვიჩვენებენ, რომ ძლევა შემოსილმა მღვდელმა ი. ხ. სილა მოაზრებანი სილა სა-

წყალს გლეხს. შოველივე ესენი ცხადად გვიჩვენებენ, რომ გამოძიებელი ხ—ლი ან მეგობრობისაგამო, ან ვერცხლო მოყვარეობისაგამო, ან საქმის არცოდნობისა და გამოუსდებლობისაგამო ამართლებს დამნაშავეებს და ამტყუნებს მართალს!

წერილები

I

დიმიტრი ზაქარიას ძეს უ. ბაქრაძეს.

შოაწყალესო ხელმწიფე!

მოგესხენებათ, რომ თფილისის მეტეხის ეკკლესიის აღმოსავლეთისკენ კედელზედ იყო მხედრულის ასობით წარწერილი შემდეგი სიტყვები:

„მეფემ ირაკლიმ ეს ციხე მტერთა წართო ძალათო, აილო ჭური ქრისტესი, წინ მიიმძღვარა ფარადო
„დაიხსნა ეკკლესიანი, ახლა აქვს სახლის კარადო
„ღეთის მოყვარესა ხელმწიფეს ასრე ჰსჭირს ამის გვარადო
„ღეთის სადიდებლად, მეოხად მეფის მრეკლესია.“

მხლა ის ქვა, რომელზედაც ეს წარწერა იყო, ჩამოვადნილა ამ ცოტას ხანში და დაკარგულა. ბარდა ამისა, მართო ამ ეკკლესიაშილა მოიპოვებოდა ტრაპეზზედ საჩრდილობელი, რომლისთანეებიც სხვა ეკკლესიებში კარგახანია რაც მოშალეს. ეს აქ დანარჩენის აქამდინ ხელუხლებლად, სასოფრად ამ ეკკლესიის სიძველისა. მხლა ამ ეკლესიას აკეთილებენ (რასაკვირველია ახალს პლანზედ) და ამ მიზეზით ეს საჩრდილობელიც აუღიათ. ზოგნი ამბობენ, ეთომაც ისევ გააკეთებენო, მაგრამ საეჭვოა.

რადგანეს ორივე უძვირფასესი ნივთები არიან არხეოლოგიისთვისა, ამისათვის მოგახსენებთ, როგორც მწვერს არხეოლოგიის საზოგადოებისას გთხოვთ, ჩვეულებრივი ყურადღება მიექციოთ, რომ არც ერთს და არც მეორე მამაპაპურს ნაშთთ არ მოვაკლდეთ.

დ. ახალშენაშვილი

1878 წ. 30-ს აგვისტოს

II

შუ. რედაქტორო! საეჭრო საქმე ბევრჯერ ახსნილა ხოლმე თქვენის პატივცემულის გაზეთის წყალობათ და იმედი მაქვს ეს საქმე, რომელსაც ეხლა ვიწერები, იქნება როგორმე აიხსნას.

აი რაში მაქვს ეჭვი: წასრულის წელში უფ. ექვ. ხელაძე დაჰპირდა ოსურგეთის სასულიერო სასწავლებელს უფასოდ ყოველივე საქმის ქაღალდების დაბეჭდვას, მაგრამ დღეს კი, როგორც სასწავლებლის სამმართველოს გასავალ-შემოსავლის წიგნიდან სჩანს, (სანდო პირის სიტყვით) შუ. ხელაძეს თავისი

„პატიოსანი“ სიტყვა უკუ უტყუვია და სასწავლებლისთვის გარდაუხდევინებია საქმეების დასაბეჭდი ფული.

შპატიოსნოა კაცი, რომელიც თავის ნათქვამს სიტყვას შესცვლის. მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ ასეთი უპატიოსნო კაცი იყოს ხელაძე, რომელმაც თუ სიმართლე უყვარს, თავიც უნდა იმართლოს და ამ ყოყმანებიდან გამოგვიყვანოს.

ო. ზურგეთი

პასუხი შუ. ო. ზურგეთელს *)

ჭეშმარიტად თანახმა ვარ თქვენი აზრისა. მართლაც, რომ უპატიოსნოა ის კაცი რომელიც თავის სიტყვას შესცვლის ანგარების მოყვარეობისათვის; მაგრამ რაც შემგებია მე, ჩემს დანაპირებს ოსურგეთის სასულიერო სასწავლებლის შესაწირავს, მაგაზედ დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, ოსურგეთელო, რომ მე ჩემი სიტყვა სრულიად არ შემიცვლია და არც უკუ არ აღუდგები იმას უკანასკნელ ღონისძიებამდისინ, უკეთუ ოსურგეთის სასულიერო სასწავლებელს დავინახავთ წარმატებაში. მე აღუთქვი იქაურ სასწავლებლის სამმართველოს საჭირო ბლანკების უფასოდ დაბეჭდვა, გარდა ქაღალდისა, რომელიც უნდა იყვეს ხსენებული სასწავლებლის. ამ დაპირების შემდეგ ხსენებული სასწავლებელის თანაშემწეს უფ. ლიადეს სამჯერ შემოუკვეთია ჩემი სტამბისთვის საჭირო ბლანკების დაბეჭდვა და აღთქმისამებრ მეც აღმისრულებია, მხოლოდ სამნაირი ბლანკების ქაღალდის ფული 2 მან. 70 კ. მიგვიღია—თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, უფ. კორრესპონდენტო, რამ მაიძულა მე ვგრე, რომ დავპირდი და მოვატყუილე? შოველივე შესაწირავი ხომ ნება-ყოფილობაზედ არის დამოკიდებული? ამასთანავე თქვენ ანბობთ, სასწავლებლის სამმართველოს გასავალ-შემოსავლის წიგნიდან სჩანს, როგორც გავიგეო, რომ უფ. ხელაძეს თავისი პატიოსანი სიტყვა უკუ უტყუვია და სასწავლებლისთვის ბლანკების დასაბეჭდი ფული გარდაუხდევინებიაო. მე კიდევ იმას ვიმეორებ, რომ დასაბეჭდი ფული არ მითხოვია და არც მიმიღია; მაგრამ ამაზედ ვსთხოვ ზედამხედველის თანაშემწეს უფ. ლიადეს, რომელსაც ჩემგან მიუღია დაბეჭდილი ბლანკები უფასოდ, ორიოდ სიტყვას ნუ დაიშურებს ჭეშმარიტების აღსადგენად, როდის მივიღე მე იმისაგან ფულები და სიღგან წარმოსდგა ამისთანა შეუსაბამო ჭორები?

მქეთიმე ხელაძე

31 აგვისტოს

ოპის შედეგ

რუსეთი

—რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ თითო თვიური ხარჯი დაჭრილებისა და

*) ოსურგეთელის წერილი ჩვენ მივიღეთ უ. პ. ხელაძის ხელით პასუხითურთ. ეს არაა მიზეზი რომ აქვე იბეჭდვა პასუხი.



საზოგადოთ ავით მყოფების შესანახად გოშპიტლებში და ლაზარეთში ძალიან ბევრს იჭერსო. მაგ. წარსულ ივლისის თვეში მმართველობისაგან გაიგზავნა კომიტეტებში და საზოგადოებებში 101 ათასი მანეთი მარტო დაჭრილებისა და ავთამყოფების შესანახად წარსულ აგვისტოში კი მმართველობა დღეში ჰხარჯავს 3—4 ათას მანეთს გოშპიტლებისა და ლაზარეთების შესანახათ.

— „სხალ ღროებაში“ იწერებთან მენიდან 23 აგვისტოს, რომ ტრეზინის კამენდანიტი ჰერცოგოვინეში დაუტყვევებიათ. მათრის ჯარები შეუერთდნენ ინსურგენტებსაო.

— ბაზეთ „ბოლოს“ მოსვლია ცნობა 23 აგვისტოს, რომ შილიზოპოვიჩმა გაუგზავნა იმპერატორს მოხსენება, რომელშიაც სთხოვს რაც შეიძლება საჩქაროდ დანიშნონ ჰინოენიკები სამოქალაქო სამმართველოს შემოსაღებათ ავსტრიელებისაგან ბოსნიში შეძენილ ადგილებში.

რუმინია.

— ბუხარესტელი კორრესპონდენტი გაზეთის „Times“-ისა, რუსული გაზეთების სიტყვით, აცნობებს, რომ 28 (16) აგვისტოს რუმინიაში დარჩომილი იყო კიდეც 1,300-მდის სამხედრო ტყვე თათრებია. ისინი თავისუფლად არიან და ქალაქში ქირით იღებენ სხვა და სხვა სამუშაოებსაო. პორრესპონდენტმა არ იცის, თუ რატომ არ ბრუნდებიან ეს ტყვეები თავიანთ სამშობლოებში. მათრის კამისარი სულეიმან-ფაშა, რომელიც უნდა ექმნა განკარგულება ამ საქმეზედ, ამ ქამად ბუხარესტში სცხოვრობდა.

მელსაც უნდა ექმნა განკარგულება ამ საქმეზედ, ამ ქამად ბუხარესტში სცხოვრობდა.

— „მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან პეტრედა, რომ პარტის პირობები შესდგება შემდეგადამაო ავსტრია დაიჭერს ჰერცოგოვინას, მ. მალეთი ბოსნიას; ახალ ჰინოენიკებს დანიშნავს იმპერატორი სულთანის სახელ-დებით. ეს პირობები როგორც ამბობენ ავსტრიას არ მიუღიათ.

განცხადებანი

მსოფო უმოჩილოვად იმ პირობებს, ვისაც ჰქონდა წაღებული ჩემგანით, ჩემი გამოცემული წიგნები და აგრეთვე სხვებისაც, რომლებიც დამაც მქონდა გამოცემული გასასყიდად; ამისთვის გთხოვთ უფ. კომისიონერნო, რომ გამისწოროთ ანგარიში და აგრეთვე, რაც წიგნება დარჩენილი უკანვე დამიბრუნოთ ფოქტით. უკეთუ ვერ მივიღებ კმაყოფილებას, იმ შემთხვევაში ვალდებული ვიქნები თაქს, რომ გამოვაცხადო გაზეთში ვისგანაც ვერ მივიღებ, კმაყოფილებას. დასარწმუნებლად იმათთვის, ვისგანაც მე მქონდა გამოცემული წიგნები, რომ იმათაც იცოდეს.

ვისაც სურს წიგნების ყიდვა რომელიც არის ჩემი გამოცემული დათმობათ მყიდველებს: ვინც იყიდს მანეთიდან ხუთ მან. ორი შაური; ხუთი მან. ათ მანეთამდის თითო აბაზი მანეთში.

ბ. ძალანდაძისაგან.

ადრესი: Въ Тифлисѣ типографія Меликова, Ар. И. Каландадзе.

შუთაინში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისპიდება:

- 1) დედა ენა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
- 2) ანუა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. ჩეულოვისა ფასი 20კ.
- 3) სოლი ვიტირო, თუ ფული? პო. მედია პო. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
- 4) მუშვის ტაოლსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
- 5) მეფე ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

გამოვიდა და ისპიდება

„თავარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან, გადმოკეთებული ბრ. ჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

ბ. მისისაგან.

ისპიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში, შუთაინში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფასი ჰმელგან მჰმსი შაური.

იქვე ისყიდება იმისივე

„იბაკ-არაკნი“

გამოკრებილი საბა-სულხან ორბელიანის სიბრძნე-სიცრუიდან და გალექსილი თ. რაფ. მრისთვისაგან. ფასი ორი შაური.

რ.პ. გზა.	დღა.	ს.ღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაპ.	მაზანდა	მანკაპ.	თფილისის სამაჰრანალო
თფილისი..	9 21	5 18	მ.კაპ. მ.კაპ.		მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 1 სექტემბ.		მრევნ ს მაედანზე, წ ნამდვარვის სახლებში.
მცხეთა..	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს	1	შქვ. თუთ. ბანჯისა, ფთ.	180	ავთამყოფებს მიიღვენ ყოველს
ბორი..	11 5	9 43	240	133	ბორს, ლუშეთს, სიღნაღს . .	50	ფეილი წ-თელი	135	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური..	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვი, მდესას, მოსკოვი	2	ქერი ფუთი	130	მ.რ შაბათს: მერმიშვი და ბა-
სურამი..	1 44		4 42	2 46	პეტერბურს, მარშავს	2	ბაბა მრევ ისა, ფუთი . .	750	რ ლეიჩი—შინაგ. ავთა, ქიუნა-
ქვირილა..	5 49		5 81	3 23	მსმაღეთს, შევიტ რიში.	3	— ამერიკია, ფუთი	850	რიანც—საჯარო ექიმი და საშვი-
რიონი..	6 51		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში .	3 50	ბაპენტალი ბ. მბა ფუთი.	10	ლოს ოპერაციები.
სამტრედია..	7 51		7 73	4 29	ივგლისში	3 75	მატყლი თუშური ფუთი .	850	სამ შაბათს: მერმიშვი—ში-
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76	ფოქტა		— თარაქამისა ფუთი . .	420	ნაგ. ბ. ბეტოვი—საბეზიო და ბაგ-
ფოთი..	9 50		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა-		ბარეშვი ნუხური სტ . .	2	შვის, პეუნოვი—თვალის.
ფოთი..	9 3				რთ, ქუთაისს, რუსეთს—ყველ		ქონ, ფუთი	550	მ.ტ შაბათი: მერმიშვი ში-
ახალ-სენაკი	10 14		1 18	66	დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და		ქონს სანთ ლი ფუთი . .	860	ნაგანი.
სამტრედია	11 5		2 6	114	ხუთშ. მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. ბ-		სტეარინის სნთელი, ფთ.	1240	სხუთ შაბათს: მერმიშვი—ში-
რიონი..	12 13		3 4	169	ნეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-		ხორცი ძროხისა, ლიტ . .	81	ნაგ., ქ. უნაიანცი—სიღილიტიკუ-
ქვირილა..	1 18	დამე.	3 98	221	სიდან: თფილისისა და ფოთისკენ—		— ცხერისა, ლიტრა . . .	90	რი და საშარდ ორგანების.
სურამი..	5 12		1 10	533	ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ზუ-		სპირტი ვედრო	480	პარასკევს: მერმიშვი ვი-შინ. გ.
ხაშური..	5 39		1 37	584	გეთს—ორშ. და პარასკ.		შაქარი, ბროც. ფუთი . .	730	ბ. ბანტოვი—საბეზიო ქალიშა და
ბორი..	7 5		4 8	736	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	— ფხენილი ფუთი	640	ბაგეშვას.
მცხეთა..	8 50		6 59	985	და სამზღვარ გარეთ:		შავა გრგვლი, გიგვ . . .	70	შაბათს: მერმიშვი შინაგ., და
თფილისი..	9 31		7 56	975	ლია წიგნია	4	ხეთი ქუნჯულისა ფუთი.	1350	პეუნოვი—თვალისა.
					დამტკილის (ხამი მისხალი) .	8	თამბაქო, ს. შუ ლო ფთ.	12	